

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2304

ქ. ბათუმი, 26 ივნისი 2018 წ

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1827 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის №1827 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77¹, 77² და 103-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე“.

2. დაევალოს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ამ ბრძანებით განსაზღვრული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა, სამართალდარღვევის დადასტურების მტკიცებულებათა შეკრება და შესაბამისი ინფორმაციის, მტკიცებულებების (მათ შორის ხმაურის დონის გაზომვის ოქმი) დადგენილი წესით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისათვის მიწოდება.

3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია 2018 წლის 01 ივლისიდან.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი